პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 შაბათი 8 მაისი № 107 (16537) ფასი 2 კაპ. 1976

ხუთწლედს — ჩვენი შრომა, ენერგია!

დროს უსწრებენ

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო ჩვენი მიზეზით, — ამ დევიზით შრომობს დედაქალაქის ერთ-ერთი დიდი საწარმოს ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის (დირექტორი ჯ. მანჯგალაძე) კოლექტივი.

წლის განვლილ პერიოდში საწარმოს მშრომელებმა ორგანიზებული შეჯიბრების მაგალითი გვიჩვენეს და შედეგიც სასიხარულოა, მათი კოლექტივი პირველი კვარტალის შეღეგებით გამარჯვებული გამოვიდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. სსრ კავშირის ჩარხმშენებლობისა და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს და ამ დარგის პროფკავშირების გარდამავალი წითელი დროშა და მეორე ფულადი პრემია დაიმსახურა.

მოწინავე ბრიგადების ინიციატივით ახლა საწარმოში გაშლილია შეჯიბრება.

ცემენტი — მშენებლებს

რუსთავი, (საკ. კორ.). ამ დღეებში ცემენტის ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი გ. ცხაკაია, პარტკომის მდივანი ჯ. ღუდუშაური) თავისი უმაღლესი ხარისხის პროდუქცია გაუგზავნა ენგურჰესის მშენებლებს. კარგად შრომობენ რუსთაველი მეცემენტეები წლეულს. სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ოთხი თვის დავალება მათ 100,5 პროცენტით შეასრულეს, გეგმის გადამეტებით გამომშვებულია 2.560 ტონა ცემენტი. [illegible] — [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

წლეულს, ოთხ თვეში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 1,9 პროცენტით, ხოლო თვითღირებულება შემცირებულია 0,5 პროცენტით.

— სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებები ცხოვრებაში! — ამ დევიზით გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ქართველი მეცემენტეები დღითიდღე აუმჯობესებენ საწარმოო მაჩვენებლებს.

ენერგეტიკოსები დაწინაურდნენ

საქმთავარენერგოს საწარმოთა კოლექტივებმა კარგად დაიწყეს მეათე ხუთწლედი. გადაჭარბებით სრულდება ელექტროენერგიის გამომუშავების დავალებანი. წლის პირველი კვარტალის შეღეგებით რამდენიმე მათგანმა გამარჯვება მოიპოვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და სსრ კავშირის ენერგეტიკის, ელექტროფიკაციის სამინისტროსა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშათა პროფკავშირების გარდამავალი დროშები და ფულადი პრემიები დაიმსახურა.

პირველ ადგილზე გამოვიდნენ ხრამჰესის № 5 კასკადის და ქუთაისის ელექტროქსელების, მეორეზე — ზაპესის № 1 კასკადის და „საქენერგორემონტის“ ქარხნის, ხოლო მესამეზე — თელავის ელექტროქსელების, სოხუმის ელექტრო მოწყობილობის სამმართველოს კოლექტივები.

ეს რედაქციას აცნობა საქმთავარენერგოს მთავარმა ინჟინერმა ი. მამალაძემ.

7 მაისი

„პრავდის“ ფურცლებზე

ეთვალი წერილის უკან ადამიანია

უოველდღიურად პარტიული და საბჭოთა ორგანოები, სამინისტროები და უწყებები, ჟურნალ-გაზეთების, რადიოს და ტელევიზიის რედაქციები უამრავ წერილს იღებენ. საბჭოთა ადამიანები ამ წერილებში აცხადებენ, რომ ერთსულოვნად უჭერენ მხარს პარტიის ხაზინაო და საგარეო პოლიტიკას, გულწრფელ მადლობას უხდიან პარტიას ხალხის კეთილდღეობაზე მუდმივი ზრუნვისათვის, გამოთქვამენ აზრს ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ძირეულ საკითხებზე.

„უოველი წინადადებ ა ს, უოველი თხოვნისა თუ კრიტიკული სიგნალის გულდასმით და დროულად განხილვა, — წერს გაზეთი მეთაური წერილში („უოველი წერილის უკან ადამიანია“) — ჩვენი ცხოვრების უმაღესი კანონია, როცა წერილებზე მუშაობის დროს ლენინური პრინციპ ე ბ ი თ ვხელმძღვანელობთ, აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, საგანგებო უოველდღიურად გავაუწიოთ კონტროლი მათს განხილვას“.

გაზეთი კვლავ აქცენტებს მახვილებს რუბრიკით — „პარტიული ცხოვრება: წინა ხაზზე“. აქ გამოქვეყნებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნის რ. ბოგრდანოვის წერილი — „როგორია სამეცნიერო დონე?“ იგი წერს:

„სამეცნიერო ფ ე ბ ი ჩემს კოლეგას (მოსკოვის გაუარანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლიდან), რომელ ზ ე ა ც „პრავდის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ ნაუბარში აღნიშნა: ფრაზად მნიშვნელოვანია კოლექტივებში ფიქრი, რათა ავამაღლოთ პარტიული მუშაობის დონე, ახალ ალმავლობას მივაღწიოთ ახალგაზრდა სპეციალისტთა აღზრდისა და მომზადების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებაში“.

ხკკპ XXV ყრილობამ გადადებულ ამოცანად დასახა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო კულტურის შემდგომი ამაღლება, როგორ წყვეტენ ამ საკითხებს ლენინგრადელი საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკები, ჩვენ ფელეტონს ეუბრება ინჟენერი საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი ე. პლატონოვი — „ადამიანების მოთხოვნათა გათვალისწინებით“ (რუბრიკა — „უოველი დღის სამსახური“). ახალ დოკუმენტურ ფილმებს განიხილავს ა. ილინი — „ნათელი სახეებზე“ (რუბრიკა — „ბელეკარნთან“).

ПРАВДА

135 მილიონი მანეთის საგრეწველო პროდუქცია გეგმის გაღაჭარბებით!

ვიმუშაოთ მაღალნაყოფიერად, ეფექტურად! განუხრელად ვეძებოთ ახალი რეზერვები, წარმოებაში დავნერგოთ მოწინავეთა გამოცდილება, მეცნიერების მილწევები, ფართო გზა მივცეთ ყოველ სასარგებლო ინიციატივას!

ლაშქრობა ზეგეგმითი მილიონებისათვის

ამუშაო ცვლა რომ დამთავრდება, ამწყობ-ზეინკალთა ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც ლენინის ორდენოსანი ი. ბუხრიკიძე ხელმძღვანელობს, ერთად შეიკრიბება და დღის მანძილზე გაწეული მუშაობის შედეგებს აჯამებს. ასეა ყოველდღიურად. ბრიგადირი გულისყურით ამოწმებს თვითეული მუშის ვალდებულებათა შესრულებას, შეაქებს მოწინავეებს, ანალიზს უკეთებს გამოცდილებას და აცნობს იმათ, ვინც იმ დღეს სხვებს ჩამორჩა.

ინდივიდუალური შეჯიბრების ეს ნაცადი ფორმა, რომელსაც თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის კოლექტივი საფლეთო მუშაობაში იყენებს, მნიშვნელოვან ეფექტს იძლევა. ამ შეჯიბრების დამსახურებაც არის ის, რომ ჩარხმშენებლებმა წლევანდელ პირველ კვარტალში მომხმარებელს გეგმის გადამეტებით მიაწოდეს 558 ათასი მანეთის პროდუქცია და ხაგრძნობლად გაუმჯობესეს მისი ხარისხი.

ახლახან გამართულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმზე, რომელმაც გასული კვარტალის მუშაობის შედეგები შეაჯამა, რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებს დიდი და ხალეტო ამოცანა დაუსახეს. ი ვ ი ს ა ო ვ ი ს, რომ შეესრულოთ სკკპ XXV ყრილობაზე მიცემული პირობა — წარმოებიის მოცულობა მეათე ხუთწლედში 37-41 პროცენტით გაგაღიდოთ. საბირობა წლეულს გეგმის გადამეტებით ვაწარმოოთ 135 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

პარტიის მოწოდებას გამოეხმაურნენ სამრეწველო საწარმოთა მოწინავე კოლექტივები, რომლებიც ახლა სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის იბრძვიან. 135 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციისათვის ლაშქრობას რომ შეუდგნენ, კოლექტივები ანალიზს უკეთებენ პირველი კვარტლის შედეგებს, ითვალისწინებენ იმ ნაკლოვანებებს, რომლებზეც ახლრმად და პრინციპულად იყო საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმზე.

ზეგეგმითი მილიონებისათვის ლაშქრობაში ახლა მთავარი უურადღება ეთმობა ადგილებზე ინდივიდუალური შეჯიბრებების გაშლას, პირადი გეგმა-ვალდებულებების ყოველდღიური შესრულების კონტროლს და სპჯროობას.

სამწუხაროდ, წლის პირველ კვარტალში ზოგიერთი საწარმოს კოლექტივმა მთლიანად ვერ აუბა მხარი ახალ ხუთწლედს. როგორც ეს საქართველოს კომპარტიის მეორე პლენუმზე აღინიშნა, წლის პირველ კვარტალში წარმოების ზრდის აღებული ტემპი არ იყო საკმარისი. ეს საგანგაშო ფაქტია, რადგან სწორედ ზრდის ტემპის ჭრილიკულმა შენელებამ გამოიწვია წარსულში რესპუბლიკის მრეწველობის საშუალო საკავშირო დონისაგან თანდათანობითი ჩამორჩენა.

თუ ჩვენ რესპუბლიკის პატრიოტი ვართ, თუ საბჭოთა მშრომელის, კომუნისტის ცხელი გული გვიძგერს მკერდში, ამ ჩამორჩენას არ უნდა შევურიგდეთ, უნდა მივაღწიოთ ამას, რომ თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის თანამედროვე მოთხოვნათა დონეს შეეხაბამებოდეს, კოლექტიური შრომის ხულისკვეთებს გამოხატავდეს. „ნამდვილად მოწინავე მუშაკისათვის ცოტაა იყოს შრომისმოყვარე და დისციპლინანი, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის ნ3ტოქარხნის მუშებთან შეხვედრისას თავის სიტყვაში, — მას მოეთხოვება აგრეთვე აქტიური, ცხოველი ინიციატივა და ზრუნვა საერთო საქმისათვის“.

მეათე ხუთწლედი ეფექტიანობის და ხარისხის ხუთწლედია, და ოი ეშმარიტად ეფექტური და ხარისხიანი შრომის პერიოდად რომ ვაქციოთ, ამისათვის საჭიროა ხაუუძლოანად გამოვიუენოთ ჩვენი საერთო ძიების, შემოქმედების შედეგად დაგროვილი ცოდნა, ქვეყნისა თუ რესპუბლიკის მოწინავე კოლექტივების გამოცდილებანი.

მაგრამ, ცოტა როდია ისეთი კოლექტივი, სადაც ამ ეფექტურ თაოსნობებს მხოლოდ ზერელედ, ერთგვარად კამპანიურად გამოეხმაურნენ და შემდეგ მიივიწყეს. მაგალითად, ბათუმელ მანქანათმშენებლებთა ეფექტური გამოცდილება, რომელიც ყოველ კვარტალურ მეტრ საწარმოო ფართობზე პროდუქციის მაქსიმალურ ზრდას ითვალისწინებდა, რესპუბლიკის ბევრი საწარმოს კუთვნილება არ გამხდარა. ეს ი ქიდანაც ჩანს, რომ მანქანათმშენებლობის საწარმოებში საწარმოო ფართობების გამოყენების დონე 60-70 პროცენტს არ აღემატება. მაშინ როცა ინიციატორ საწარმოში ეს მაჩვენებელი ბევრად მეტია.

საყოველთაოდ ვერ გავრცელდა რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის კოლექტივის თაოსნობა — „დღეს მოწინავის მიჯნა ხვალ უველას მიჯნაა“. სამეურნეო ხელმძღვანელებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ერთგვარად მიივიწყეს ისეთი თვალსაჩინო თაოსნობანი, როგორიც არის „ხუთი დღის ნორმა, — ოთხ დღეში“ „შესვენება უწყვეტი გრაფიკით“, „ჩარხი არ უნდა ცდებოდეს“, რომელებიც საწარმოო ზონის, საბუმაო დროის დაზოგვის. მომიჯნავე პროფესიათა დაუფლების რეზერვების გამოვლინებას დიდ საშუალებას იძლევა.

საქართველოს მრეწველობის ნოვატორი მშრომელები, კომუნისტები, მოწინავე კოლექტივები კვლავაც სიახლის ძიებაში არიან. ყოველდღიურად იბადება მათი ფიქრის, ძიების ნაყოფი თაოსნობანი. ალმახან ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში დანერგეს შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის შეჯიბრების მეტად მნიშვნელოვანი ფორმა—დაარსეს ყოველთვიური პრემიები და ჯილდოები იმ საამქროო კოლექტივებზე გადასაცემად, რომლებიც სანიმუშოდ დაუყენებენ შედახარშოო კოლეტერებას — მეზობელ საამქროს ან უბანს შეუფერხებლად, საკმარისი რაოდენობით მიაწვდიან მხოლოდ მაღალხარისხოვან პროდუქციას. შედეგი მეტად კარგია.

საყოველთაო ყურადღების ღირსია თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის, ქუთაისის ხ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივების მუშაობის გამოცდილება, რომელიც ყოველ ხამუშაო უბანზე მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის განმტკიცებას, საწარმოო დისციპლინის ამაღლებას და ამის მეოხებით მხოლოდ მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებას ითვალისწინებს.

ის, რაშიც წარმოების პროგრესის დამაჩქარებელი რეზერვები შეენიშნეთ, რაც მოვიწონეთ, უთუოდ პრაქტიკულად უნდა განვახორციელოთ, ისეთია სადღეისო ამოცანა. რესპუბლიკის მთელმა რიგმა სამრეწველო საწარმოებმა მიიღეს პირობა გატეხეს, ვერ შეასრულეს პირველი კვარტალის გეგმები და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. საგანგაშო ის არის, რომ ამ ჩამორჩენილთა რიგებში არიან ისეთი კოლექტივები, რომელთა ხელმძღვანელი პროდუქციის საერთო მოცულობაში საკმაოდ დიდია — მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი და რუსთავის ქიმიური კომბინატები, ქიმიური ბოჭკოს ქარხანა და სხვ. ჩამორჩენილი კოლექტივების სამეურნეო ხელმძღვანელებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, დარგობრივმა სამინისტროებმა, უწყებებმა ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ მეორე კვარტალში ყოველ სამუშაო უბანზე მკვეთრად გაუმჯობესდეს მუშაობის ხარისხი.

რედაქციაში ყოველდღიურად მოდის წერილები, რომლებშიც ფრონტელი ადამიანები ენთუზიაზმით გამოხატავენ თავიანთ მზადყოფნას ახალი ხუთწლედის დიადი გეგმების შესრულებისათვის და ყოველს ახალი ვალდებულებებს კისრულობენ. „მზად ვართ საქმით ვუპასუხოთ პარტიის მოწოდებას,—გვწერს მახარაძის მაღაროთა სამმართველოს თიხის საფქვავი ქარხნის ცვლის უფროსი ჯ. დოლიძე, — ჩვენი ცვლა კისრულობს წლიური დავალება 5 დეკემბრისათვის შესრულოს“.

ასეთი დიდი პატრიოტული შეგნება, მტკიცე დისციპლინა, ორგანიზაციული ერთგულება უნდა იყოს 135 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებისათვის ჩვენი დამკვრელური ლაშქრობის ყოველდღიური თანამგზავრი.



ეს დღეები ჩაის პლანტაციებზე

ფალენჯიხა. (საკ. კორ.). რაიონში დაიწყო ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფა. ეს სამუშაო საჩინოს კომუნიზმის სახელობის კოლმეურნეობამ დაიწყო. სეზონის დაწყების პირველ დღესვე სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.000 კილოგრამზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ნედლეული.

ხობი. (საკ. კორ.). მეწაიეებმა დაიწყეს ლაშქრობა ვალდებულებათა შესასრულებლად. გუშინ ახალხიბულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა რაიონში პირველებმა გადასამუშავებლად საჭიროს ფაბრიკაში ჩააბარეს 700 კილოგრამზე მეტი პირველი ხარისხის ჩაის ნედლეული.

ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფა ყოველდღე ძლიერდება. ჩაის ფაბრიკები მზად არიან ნედლეულის მისაღებად.

მოსავალს ახლა ეყრება საფუძველი

თესვას დაჩქარება უნდა

მზვნელ-მთესველებს მაისის პირველ დღეებშიც კარგი ამინდი როდი დაუდგათ. დროგამოშვებით წვიმს, ზოგან კი უნალექო ამინდია. სოგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმის შესრულება გაჭიანურდა, ბევრგან თესვის აგროტექნიკური ვადები ამოიწურა. ამიტომ უნდა ვიჩქაროთ, რომ თესვა, რაც შეიძლება, მალე დავამთავროთ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობები (3 მაისი) სახარბიელო როდია.

სოგაზაფხულო კულტურებისულ უნდა დათესოს 395.772 ჰექტარი. თესვის გეგმა 58 პროცენტით არის შესრულებული. ამ პერიოდისათვის შესრულებული არ იყო ხორბლის, ქერის, ბოსტნეულის, ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების თესვის გეგმები, ხოლო სამარცვლე სიმინდის თესვაში უფრო მეტი ჩამორჩენაა. გეგმით გათვალისწინებული 105.187 ჰექტარიდან დათესილია 65.864 ჰექტარი, ანუ დავალების 63 პროცენტი.

სამარცვლე სიმინდის თესვის გეგმები შესასრულეს მხოლოდ ვანის, ზესტაფონის, მცხეთის, ახმეტის რაიონების მზნელ-მთესველებმა, აღნიშნული პერიოდისათვის სამარცვლე სიმინდის თესვის გეგმა შესრულებული იყო: ხაშურის რაიონში 91 პროცენტით, გორის — 87, წითელწყაროს — 88, გურჯაანის — 79, ქარელის — 70, კასპის — 68, ბოლნისის — 87, მარნეულის — 76, გარდაბნის — 70, ლაგოდეხის რაიონში — 53, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 69 პროცენტით.

სამარცვლე სიმინდს დიდი ოდენობით თესავენ დასავლეთ საქართველოს რაიონები, რომლებიც ძლიერ ჩამორჩნენ ამ საქმეში. ორჯონიკიძის რაიონში თესვის დავალება შესრულებულია 83 პროცენტით, სამტრედიის — 73, წყალტუბოს — 69, წულუკიძის — 60, თერჯოლის — 73, საჩხერის — 43, აბაშის — 69, ცხაკაიას — 63, გეგეჭკორის — 82, ზუგდიდის — 77, ხობის — 89, მახარაძის — 79, ლანჩხუთის — 75, ჩხოროწყუს — 60, ფალენჯიხის — 59, ჩოხატაურის რაიონში — 40 პროცენტით.

სიმინდის თესვაში უფრო ჩამორჩა აფხაზეთის ასს რესპუბლიკა. აქ სამარცვლე სიმინდი დათესილია 2.670 ჰექტარი ნაცვლად 15.675 ჰექტარისა, აჭარის ასს რესპუბლიკაში თესვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 55 პროცენტით.

ამ მონაცემებს ღრმად უნდა ჩაუფიქრდნენ თვითეული რაიონის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები.

ნ. ჯანჯღავა.

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში დამკვრელურად შრომობენ ხკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. საწარმოს წარმატებით გაართვა თავი საპირველმაისოდ ნაკისრი ვალდებულებებს. ოთხი თვის გეგმის გადაჭარბებით დამზადებულია ათეულ ათასობით მანეთის პროდუქცია.

ხუციშვილი: გაერთიანების მოწინავე მჭსოველები ცარო შიოშვილი და სვეტლანა ტკაჩეიშვილი,

ფ. კრემსკისა და ბ. კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ლენინური პრემიების გადაცემა

მოსკოვის კრემლის სვერდლოვსკის დარბაზში 7 მაისს მოეწყო ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის 1976 წლის ლენინური პრემიების დიპლომებისა და სამკერდე ნიშნების გადაცემა. საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ერთად ახალი ლაურეატების პატივსაცემად შეიკრიბნენ მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები, თეატრისა და კინოს ოსტატები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარემ სოციალისტური შრომის გმირმა ნ. ს. ტიხონოვმა საზეიმო ცერემონიის გახსნისას გულთბილად და ულეთადად მიულოცა ლაურეატებს, უსურვა მათ შემოქმედებითი წარმატებანი.

შეკრებილთა ტაშის გრიალში ნ. ს. ტიხონოვმა ლაურეატებს გადასცა დიპლომები და სამკერდე ნიშნები. მაღალი ჯილდოები მიიღეს ი. კ. აკიანუსმა, ი. ლ. ანდრონიკოვმა, გ. მ. მარკოვმა, ე. ვ. ობრაზეოვამ, ზ. კ. ფერეთელმა. ლენინური პრემია, რომელიც ვ. მ. შუკშინს მიენიჭა, გადაეცა ლ. ნ. ფედოსეევა-შუკშინას. ლაურეატ ე ბ მ ა უდიდესი მადლობა გადაუხადეს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა სახელმწიფოს მათი შემოქმედებითი შრომის მაღალი შეფასებისათვის.

ცერემონიას ესწრებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი პ. ნ. დემიჩევი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

გავაუმჯობესოთ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა მოსახლეობის სამედიცინო დახმარების გაწევის საქმეში რესპუბლიკის სამკურნალო და სააფთიაქო დაწესებულებათა მუშაობის შემოწმების შედეგები და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ბოლო წლებში საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილებათა შესასრულებლად, რომლებიც მიზნად ისახავს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას.

ყოველწლიურად იზრდება ჯანმრთელობის დაცვის ასიგნებები, მნიშვნელოვნად განმტკიცდა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაიზარდა საწოლების ფონდი. გამსხვილდა ზოგიერთი რაიონული საავადმყოფო, გაფართოდა ამბულატორია-პოლიკლინიკებისა და სპეციალიზებული კაბინეტების ქსელი, გაუმჯობესდა მათი მუშაობის ზოგიერთი მაჩვენებელი.

ამასთანავე დადგენილებაში ნათქვამია, რომ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოთა და დაწესებულებათა მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებები. ამას მოწმობს მშრომელთა წერილები და საჩივრები, რომლებიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მოსდით.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ნაკლოვანებებია ექიმთა კადრების განწესებასა და განაწილებაში. მეცხრე ხუთწლედის დამლევისათვის რესპუბლიკაში ექიმთა რიცხვმა 19 ათასს გადააჭარბა, მაგრამ სასოფლო-სამედიცინო დაწესებულებები დაკომპლექტებულია მხოლოდ 82 პროცენტით. ექიმები არა ჰყავს ზოგიერთ სოფლის საუბნო ამბულატორიასა და საავადმყოფოს. რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში არა ჰყავთ სპეციალისტები — ნევროპათოლოგები, რენტგენოლოგები, ოტოლარინგოლოგები და სხვ. 1.990 პედიატრიდან სოფლად მხოლოდ 109 პედიატრი მუშაობს.

ექიმთა კადრების მწვავე ნაკლებობა ივრძნობა ენგურჰესის მშენებლობაზე. მოგვარებული არ არის მუშაობა ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. თუმცა რესპუბლიკა მთლიანად უზრუნველყოფილია საშუალო სამედიცინო მუშაკთა კადრებით, ზოგიერთ მთიან რაიონში თავისუფლია მედდის 200-ზე მეტი ადგილი.

სამშენებლო ორგანიზაციების, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მოუქნელი მუშაობის შედეგად მეცხრე ხუთწლედში საავადმყოფო საწოლების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა მხოლოდ 80 პროცენტით შესრულდა.

ძალზე ნელა სრულდება საკავშირო და რესპუბლიკური დირექტიული ორგანოების დადგენილებები ბატარა სასოფლო საუბნო საავადმყოფოების ლიკვიდაციისა და მათს ბაზაზე სასოფლო ამბულატორიების შექმნის შესახებ. რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ღონისძიებებს ამ საკითხში შესაბამის მზარდაჭერას არ უწევენ ადგილობრივი ორგანოები.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

გავაუმჯობესოთ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება

(დასასრული)

ზოგიერთ რაიონულ საავადმყოფოში საწოლების რაოდენობას მათზე მოთხოვნილების გაუთვალისწინებლად ზრდიან, რის გამოც პალატებში გაუმართლებელი სივიწროვეა და ირღვევა სანიტარიული ნორმები. ეს უხეში, მაგალითად, ლაგოდეხისა და თელავის საავადმყოფოებს.

საწოლები დატვირთული არ არის კასპის, ვანის, ონის, ჩოხატაურის, წალენჯიხის, თიანეთის, აზაბეგის, ბორჯომის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, მაიაკოვსკის, სამტრედიისა და სხვა ცენტრალურ რაიონულ საავადმყოფოებში. ეს უფრინარეს ყოვლისა, აიხსნება მოსახლეობის სტაციონარულ მომსახურებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებით. გაუმართლებლად ბიანურდება ავადმყოფთა გამოკვლევა. ბევრგან ჩვიანან, რომ ავადმყოფებს უყურადღებოდ, ზოგჯერ კი უსულგულოდაც ეკიდება სამედიცინო პერსონალი.

ძალზე გაჭიანურდა სამამული ომის ინვალიდების ჰოსპიტლის აღდგენა.

პოლიკლინიკები ჯეროვან მომსახურებას ვერ უწევენ მოსახლეობას. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად არის ორგანიზებული იმ ავადმყოფთა განმეორებითი ნახვა, რომლებიც შინ მკურნალობენ. მედიცინის მუშაკთა გარკვეული ნაწილის ფორმალიზმი, მოვალეობისადმი გულგრილი და დაუდევარი დამოკიდებულება ცუდ ვითარებას ქმნის მოსახლეობის პოლიკლინიკურ მომსახურებაში.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სერიოზული ნაკლოვანებებია სამკურნალწამლო საშუალებებით ავადმყოფთა უზრუნველყოფაში. მაგალითად, თბილისის შერჩევით შემოწმებულ ათ აფთიაქში არ აღმოჩნდა ბევრი მედიკამენტი, რომლებზეც დიდი მოთხოვნაა, თუმცა შემოწმების დღეს ეს მედიკამენტები საკმაო რაოდენობით იყო მთავარი საფთიაქო სამმართველოს ცენტრალურ საწყობში.

რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და მისი მთავარი საფთიაქო სამმართველო ყოველთვის ოპერატიულად არ იყენებენ მოსახლეობის დასახმარებლად მედიკამენტების რეზერვს, ჯეროვან ღონისძიებებს არ ახორციელებენ მის შესავსებად.

თუმცა, ხაზგასმულია დადგენილებაში, არსებობს საავადმყოფო-პოლიკლინიკურ დაწესებულებათა ფართო ქსელი, ორგანიზებულია საკონსულტაციო პოლიკლინიკები და „ღია კარის დღეები“ სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებში, სადაც ავადმყოფებს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები იღებენ, ექიმთა გარკვეული ნაწილი მეტისმეტად გატაცებულია კერძო პრაქტიკით. ამასთან რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ სამმართველოში შემოწმების დღეს არ ჰქონდათ იმ ექიმთა კაბინეტების გამოკვლევის მასალები, რომლებიც კერძო პრაქტიკას ეწევიან. სამინისტროს სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურები და მთავარი სპეციალისტები კონტროლს არ უწევენ მათს მუშაობას.

ყოველივე ეს დიდ ნაკლოვანებებს ქმნის კერძო პრაქტიკის მქონე ექიმთა კაბინეტებს საქმიანობაში. სამედიცინო კაბინეტში, განსაკუთრებით კოსმეტოლოგიურ და ბალნეოლოგიურ კაბინეტებში, ალბი და ბალნეა. აქ დაგნოსტიკისა და მკურნალობის ყველაზე პრიმიტიულ მეთოდებს იყენებენ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა, აპარატი და ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოები ჯერ კიდევ არ გამსჭვალულან დროის სულისკვეთებითა და მოთხოვნებით. მათს მუშაობაში არ არის ჯეროვანი ოპერატიულობა და მომთხოვნელობა. ეს ქმნის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ჯერ კიდევ დაბალ დონეს, ნაკლოვანებებს ადრების მომზადებაში, შერჩევისა და განაწილებაში, აგრეთვე მათი კვალიფიკაციის ამაღლებაში. ბევრი მედიკინების მუშაკის უსულგულო დამოკიდებულებას ავადმყოფებისადმი.

სავაჭრო ორგანიზაციათა მიზეზით სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებებს, განსაკუთრებით პერიფერიებში, დამაძაყოფილებლად არ ამარაგებენ სურსათით.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები და მათი საქვეუწყებო საარმენტო-სამშენებლო ორგანიზაციები არ ზრუნავენ სამედიცინო დაწესებულებათა მომდინარე და კაპიტალური შეკეთების გეგმების შესრულებისათვის.

დადგენილებაში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ყურადღებას მიაყრობენ იმას, რომ ისინი ქმედით დახმარებას არ უწევენ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს. სახელმწიფო წესრიგის დამყარებასა და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების საქმეში ძირეული ვარდატეხის მიღწევაში, ნაკლებად ზრუნავენ ახალგაზრდა ექიმებისათვის საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნასა და მათი ოჯახის წევრთა სამუშაოდ მოწყობაზე.

დადგენილება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ავალებს წლის დამლევამდე ახალ ცენტრალურ რაიონულ, საავადმყოფოებში საწოლების რაოდენობა შეუსაბამოს ფაქტიურ მოთხოვნილებას და გაითვალისწინოს შენობათა საპროექტო სიმძლავრე.

საჭიროა წლის ბოლომდე რესპუბლიკის მთიან და შორეულ რაიონებში, აგრეთვე დიდი მშენებლობებისა და სამრეწველო საწარმოების სამედიცინო სანიტარიულ ნაწილებში გაიგზავნონ ექიმთა ახალი კადრები. ძირითადად თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის უკანასკნელი გამოშვების ხარჯზე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმას, რომ ცენტრალური რაიონული საავადმყოფოები დაკომპლექტდეს ვიწრო პროფილის სპეციალისტებით, გადაესინჯოს ექიმების, განსაკუთრებით პედიატრების, მეანოპედიატრების, ონკოლოგების, დერმატოლოგებისა და ვიწრო პროფილის სხვა სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების გეგმები. უნდა შემუშავდეს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სამკურნალო დაწესებულებებში პრაქტიკის გავლისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ხანგრძლივი დროით ახალგაზრდა პერსპექტიული მედიცინის მუშაკების გაგზავნის გეგმები.

საჭიროა სისტემატური და ქმედითი მუშაობა, რომ რესპუბლიკის დიდი ქალაქებიდან (ინტერალური რაიონულ საავადმყოფოებში გაგზავნილ კვალიფიციური ექიმები და ექიმებით დაკომპლექტოთ სასოფლო საუბნო საავადმყოფოებისა და ამბულატორიების, აგრეთვე საკურორტო დაწესებულებების ვაკანტური თანამდებობები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოსახლეობის სტაციონარული და პოლიკლინიკური მომსახურების გაუმჯობესებას, აგრეთვე მსხვილი სამრეწველო საწარმოებისა და მშენებლობების ჯანმრთელობის დაცვის პუნქტების მუშაობას; უნდა დასახოს და განხორციელდეს ღონისძიებები პოლიკლინიკებში ექიმთან მისაღებად ავადმყოფთა რიგების ლიკვიდაციისათვის, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ბინაში სტაციონარული დახმარების ორგანიზაციას.

უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს სამედიცინო პერსონალის მხრივ ავადმყოფისადმი უსულგულობის, ავადმყოფთა დიეტოსტატიკასა და მკურნალობაში უხეში შეცდომის არცერთი ფაქტი. უნდა ვიბრძოლოთ სამკურნალო დაწესებულებათა სანიმუშო სანიტარიული მდგომარეობისათვის.

თვითეული მედიცინის მუშაკი უნდა განიმსჭვალოს ჯანმრთელობის სამსახურის წინაშე დასახულ ამოცანათა დიდი მნიშვნელობის გაგებით. უნდა გაუმჯობესდეს მედიკამენტებისა და სამედიცინო ნაწარმზე მოსახლეობისა და სამკურნალო დაწესებულებების მოთხოვნილების შესწავლისათვის მუშაობა, აგრეთვე ინფორმაციისა და სამამული პრეპარატების რეკლამირების სპეციალური სამსახურის მუშაობა.

უნდა შეექმნათ, სისტემატურად განვაახლონ და შევავსოთ მედიკამენტების რეზერვი მოსახლეობისათვის სამკურნალწამლო დახმარების გასაწევად.

ყველაზე მკაცრი ღონისძიებები უნდა განახორციელოთ იმ პირთა მიმართ, რომლებმაც დაიტაცეს და გაიფუჭეს სამედიცინო საქონელი.

მთავარ სპეციალისტებსა და სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ სადგურებს დაევალათ სისტემატურად შეამოწმონ კერძო ექიმების კაბინეტების მუშაობა, მათ მიერ გაწეული დახმარების დონე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ მოქალაქეთა წერილებსა და საჩივრებში დასმული საკითხების დროულ და ობიექტურ შესწავლას, სწორი რეაგირება მოვახდინოთ მათს კანონიერ მოთხოვნებზე.

დადგენილება რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობისა და თანამშრომლობის ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა გაძლიერონ მომთხოვნელობა სამინისტროს აპარატის მუშაკებისადმი, მიაღწიონ მუშაობის მინდობილი უბნისათვის მათი პასუხისმგებლობის ამაღლებას, მათს ფუნქციაში შემავალი საკითხების გადაჭრაში დიდი ინიციატივის. ოპერატიულობისა და დამოუკიდებლობის გამოჩენას, სამკურნალო-პროფილაქტიკური და სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურების მთელ საქმიანობაში ძირეულ გარდატეხას, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დონის მკვეთრ ამაღლებას.

რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაიგალათ ყოველწლიურად გაითვალისწინონ სოფლად 40-50 სტაციონარული საცხოვრებელი სახლის მშენებლობა სამუშაოზე გაგზავნილი ახალგაზრდა ექიმებისა და მათი ოჯახების საცხოვრებისათვის. მათ 1977 წლის გეგმაში უნდა შეიტანონ თბილისში 600-საწოლიანი მრავალპროფილიანი ბავშვთა საავადმყოფოს მშენებლობის დაწყება.

დადგენილება რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობას ავალებს უზრუნველყონ სურსათ-სანოვაგეზე სტაციონარული სამედიცინო დაწესებულებების შეკვეთების დასაკმაყოფილებლად მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესება.

საქართველოს სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობას ავალებს უზრუნველყონ სურსათ-სანოვაგეზე სტაციონარული სამედიცინო დაწესებულებების შეკვეთების დასაკმაყოფილებლად მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესება.

საქართველოს სამინისტრო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად უნდა უზრუნველყოს სამედიცინო დაწესებულების მიმდინარე და კაპიტალური რემონტის გეგმების უფუფო შესრულება, თვალყური ადევნოს ამ მიზნით გამოყოფილი სახსრების და მასალების სრულ ათვისებას.

საქართველოს სსრ მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროებს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს დაეკალათ უზრუნველყონ სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობის გეგმების უფუფო შესრულება და განახორციელონ ღონისძიებები, რათა მთლიანად იქნეს ათვისებული ამ მიზნით გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებები.

აფხაზეთის სსრ და აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა უნდა განიხილონ სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობის გეგმების შესრულების, სოფლად, განსაკუთრებით მაღალმთიან და სასაზღვრო რაიონებში მომუშავე სამედიცინო პერსონალის შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, სამუშაოზე განაწილებით ჩამოსული ახალგაზრდა სპეციალისტი ექიმების დადგენილი წესისამებრ საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის, მათი ოჯახების წევრთა შრომითი მოწყობის, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების საკითხები.

ყოველივე ეს ხელს შეუწყობს იმ ამოცანათა გადაწყვეტას, რომლებიც რესპუბლიკის მედიცინის მუშაკთა წინაშეა დასახული სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

(საქინფორმი).

მთავრობის ჯილდოების გადაცემა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ ადგილობრივი მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის, კავების მრეწველობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, რომლებიც საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოდნენ მეცხრე ხუთწლედის დავალებათა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში მიღწეული წარმატებებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვაკაძემ წაიკითხა შესაბამისი ბრძანებულება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გილაშვილმა თბილისელ დაჯილდოებულთ გადასცა შრომის წითელი დროშის, „სპატიო ნიშნის“, მე-3 ხარისხის შრომითი დიდების ორდენები, მედლები „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ საწარმოო გაერთიანება „სეხარულის“ ზეინკალი ო. როსტიაშვილი, ავპალის სილიკატური საკედლე მასალების ქარხნის ზეინკალთა ბრიგადირი პ. ვახტანგიშვილი, საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიეროკვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე თ. ნინიტაშვილი, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე პ. ხოფერია. მათ მადლობა გადუხადეს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მათი შრომის ესოდენ მაღალი შეფასებისათვის.

პ. გილაშვილმა მიულოცა დაჯილდოებულთ და რწმენა გამოთქვა, რომ ჯილდოები გახდება სტიმული შრომაში ახალი წარმატებებისა და უფრო მაღალი მაჩვენებლების მისაღწევად მეათე ხუთწლედში. (საქინფორმი).

ცხოვრებით ნაკარნახევი ვალდებულება

ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სესია

იმსჯელა მოსახლეობის კომუნალური მომსახურებისა და ქალაქის კეთილმოწყობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე

ყოველდღიურად იზრდება, ფართოვდება, შენდება და მშვენდება ქ. ქუთაისი. საკმარისია თქვას, რომ თუ 1940 წელს ქალაქი განლაგებული იყო 40 კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიაზე, ამჟამად მას 60 კვადრატული კილომეტრი ფართობი უჭირავს. ერთიორად და მეტად გაიზარდა მოსახლეობაც. მოსალოდნელია, რომ მისი რიცხვი 2000 წლისათვის 425 ათასს გადაჰარბებს. ბუნებრივია ასეთ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის კომუნალური მომსახურებისა და ქალაქის კეთილმოწყობის გაუმჯობესების საკითხებს, მით უფრო, რომ იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩენა მრეწველობის ზრდის ტემპს. წლების მანძილზე ამ საქმეში არადამაკმაყოფილებელი იყო ქალაქის სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციების მონაწილეობა. ადრე არც საქალაქო საბჭოს აღმასკომი იწუხებდა თავს ამ მიზნით გამოყოფილი თანხების კოორდინაციისათვის.

სწორედ ცხოვრების სინამდვილით ნაკარნახევი ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხის განხილვას მიეძღვნა საქალაქო საბჭოს სესია, რომელიც ამას წინათ გაიმართა. სესიაზე საქმიანად იმსჯელეს და ყოველმხრივ გააანალიზეს სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების მიერ დასახული ამოცანების გადაჭრის პრაქტიკული საკითხები. სესიის მოიზადების პერიოდშივე პრაქტიკულად გადაწყდა ქალაქის კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კომუნალურ მომსახურებასთან დაკავშირებული მთელი რიგი პრობლემები, ამასთან იგი გახდა ერთგვარი შემმჯერებელი ეტაპი კეთილმოწყობისა და მომსახურების გაუმჯობესების უზრუნველყოფად.

ქალაქის კეთილმოწყობის საქმეში საწარმოთა და ორგანიზაციათა ჩაბმისათვის შეიქმნა დეპუტატ-დირექტორთა საკოორდინაციო საბჭო, სესიის მოწვევის თარიღი ერთი თვით ადრე ეცნობა მოსახლეობას, შეიქმნა 40-ზე მეტი კომისია, რომლებშიც ჩაბმულ იქნა 350 დეპუტატი და აქტივისტი, მოეწყო შრომითს კოლექტივებთან აღმასკომის ხელმძღვანელ მუშაკთა შეხვედრები, გაიმართა კომუნალური სამსახურების მუშა-მოსამსახურეთა და ცალკეული უბნების მცხოვრებთა კრებები, რომლებზეც წამოყენებული იქნა 1.300 საყურადღებო შენიშვნა და წინადადება. საინტერესოა ისიც, რომ ამ კრებებზე მშრომელებმა იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი შობლეობური ქალაქის კეთილმოწყობაში აქტიური მონაწილეობისათვის. მაგალითად, სესიის შზადების პერიოდში ახლადდაქორწინებულთა ხეივანი მოეწყო დიდების მემორიალის შემოგარენში, საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი სატრანსფორმატორო ქვესადგურები, ძირითადად გადაყდა ოსტროვსკის, ჯაფარიძის, ტყიბულის, კირთვაბადის, ბროსეს, ელოდანისა და მომიჯნავე ქუჩების ელექტროენერგიით მომარაგების საკითხი, ჩამოყალიბდა თბომეურნეობის სამმართველოს საავარიო სამსახური, თბოქსელში ჩაირთო ავტომარნნის № 6 და ჯაკეზაკის პროსპექტზე მდებარე № 1 საცხოვრებელი სახლები, შეიცვალა მწყობრიდან გამოსული სათვალთვალო ჭების სახურავები. საავტომობილო ქარხნის საბინაო-კომუნალურმა განყოფილებამ პროფკავშირის აფდგილკომთან ერთად, 20 მარტს მოაწყო მასობრივი შაბათობა, რომელშიც მონაწილეობდა მიკრორაიონის 12 ათასი მოსწავლე და 450 თანაშრომელი, საქალაქო სახლოს აღმასკომის კომკავშირული ორგანიზაციის ინიციატივით ქეთილმოეწყო ბაგრატის ტაძრის ტერიტორია და ა. შ.

სესიისათვის მზადებაში მონაწილეობდა საქალაქო საბჭოს თითქმის ყველა მუდმივი კომისია. მაგალითად, მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივმა კომისიამ (თავმჯდომარე დეპუტატი ს. კურტანიძე) საფუძვლიანად შეისწავლა ქალაქის სამრეწველო საწარმოთა მიერ ტექნიკური მიზნებისათვის სასმელი წყლის გამოყენების მდგომარეობა, ფენომენტმა ო. ვაშაკიძემ, ქალაქის ურ მეცნიერებათა კანდიდატმა მ. დენიძემ, რაიონის მთავარმა ზოონიკოსმა ტ. ცაგარეიშვილმა და სხვ.

ბრ. ბეგეშაძე.

ჩხოროწყუ. „მეცხრე ხუთწლედის შედეგები და 1976-1980 წლებში სსრ კავშირის ... მეურნეობის ამოცანები“, სამეცნიერო-ტექნიკური სოფლის მეურნეობის ... მეათე ხუთწლედში“, „სკკპ XXV ყრილობა „კრიტიკისა და თვითკრიტიკის მესაზღ“ — ამ საკითხებს მიეძღვნა თეორიულ-პროპაგანდისტიკული კონფერენციები.

რაიონის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა დიდხანს მსჯელობდნენ სკკპ XXV ყრილობაზე განხილულ საკითხებზე და მის ცხოვრებაში გატარებაზე.

ი. ნანუკაშვილი.

სოფლის მშრომელთა დასახმარებლად

16.400 ათასი მანეთის სხვადასხვა პროდუქციას გამოუშვებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მეათე ხუთწლედის პირველ წელს თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხანა. ეს არის 16 სახეობის სასოფლო-სამეურნეო მანქანები და 240 სახელწოდების სათადარიგო ნაწილები.

ქარხნის კოლექტივმა გადაეჭრებით შეასრულა ოთხი თვის საწარმოო გეგმა. რესპუბლიკის ჩაის პლანტაციებს გაუგზავნა 50 ჩაისსაკრეფი მანქანა „ჩა-900“ — იმდენი, რამდენიც უნდა გამოეშვა წლის პირველ ნახევარში.

საწარმოს კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ მხარი დაუჭირეს თბილისის სტანოლინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ახალგაზრდა წარმოების მუშაკთა თაოსნობას, რომლებმაც გადაწყვიტეს დაეხმარონ სოფლის მშრომელებს ძლიერი ყინვების შედეგად დაზიანებული ვენახების გადარჩენაში.

სურათებზე: წარმოების მოწინავე მუშები, კომუნისტური შრომის დამკვრელები (მარცხნიდან მარჯვნივ): ზეინკალი ელიზბარ დიომინი, ხარატი ვიქტორ მიკირტიჩიანი, ზეინკალი ვიქტორ ნარხოვი და ხარატი ომარ ვარდიაშვილი. მათ იკისრეს ვალდებულება სამწელიწადნახევარში შეასრულონ პირადი ხუთწლედები; ჩაის საკრეფი მანქანები „ჩა-900“ მზად არიან ზურმუხტოვან პლანტაციებში გასაგზავნად.

ნ. ნასყიდაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ლაღვა შენების სეზონი

ნია-გრუზინსკაიაში ძირითადი დაბის სამშენებლო სამუშაოებს შეუდგნენ

ქართველმა მშენებლებმა, რომლებიც ნია-გრუზინსკაიაში ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის დასავლეთ უბანზე შრომობენ, ძირითადად დაამთავრეს დროებითი დაბის მშენებლობა და კაპიტალურ მშენებლობას — ძირითადი დაბის აგებას შეუდგნენ.

უკვე მზად არის რკინიგზელთა მომავალი საცხოვრებელი დაბის ასაშენებელი ადგილი, გაიწმინდა ტყე, მომზადდა საფუძველი იმ ოთხი ნაგებობისათვის, რომელთა მშენებლობაც წლევანდელი წლის გეგმით არის გათვალისწინებული. წლეულს უნდა აიგოს საბავშვო ბაღი, სკოლა, ადმინისტრაციული სახლი და ამბანო-სამრეცხაო.

ქართველ მშენებელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ დროულად იზრუნეს სამშენებლო მასალების შემოზიდვისა და მომარაგებისათვის, „ზამთრის გზის“ გადნობამდე მოასწრეს ქვიშის, ღორღის, აგურის (ნაწილობრივ), რკინა-ბეტონის ნაკეთობების, ცემენტის შემოტანა. თავი ისახელეს მძღოლებმა ვ. ნაცვალაძემ, ბ. მიმინაძემ, ე. გიორგაძემ, ა. ჩხარტიშვილმა, ბ. თხელიძემ, ზ. რობაძემ და სხვ.

ახლა ნია-გრუზინსკაიაში მძღოლები ძირითადი დაბის მშენებლობაზე მუშაობენ, რადგან „ზამთრის გზა“ უკვე აღარ არსებობს, მაგრამ ელოდებიან ახალი სამანქანო გზის გახსნას. გზა რომ გაიხსნება, მასალების შემოზიდვა განახლდება. მძღოლებს გადაწყვეტილი აქვთ წლევანდელი დავალება რაც შეიძლება მოკლე დროში შეასრულონ.

ძირითადი დაბის მშენებლობის მოსამზადებელ სამუშაოებთან ერთად ნია-გრუზინსკაიას მშენებლები დროებითი დაბის უკანასკნელ სამუშაოებს აწარმოებენ — ფართოვდება არსებული სასადილოს შენობა, მთავრდება რამდენიმე დროებითი საცხოვრებელი სახლის მოპირკეთება.

წლევანდელ სეზონში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენის მოლოდინში ვართ. „ინგარმშენის“ სახელოვანმა კოლექტივმა გადაწყვიტა ნია-გრუზინსკაიამდე რკინიგზის მაგისტრალის მოყვანა ვადაზე ადრე, სექტემბერში დაამთავროს.

რ. მაჭარაშვილი.

„საქბამმშენის“ სამუშაოთა მწარმოებელი, გაზეთ „კომუნისტის“ საგუშაგოს წევრი.

სად ვნახოთ კინოფილმი?

რედაქციას უპასუხებს პარტიის ცხინვალის რაიკომი

სად ვნახოთ კინოფილმი? — ასეთი სათაური ჰქონდა ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ კრიტიკულ წერილს, რომელიც ცხინვალის რაიონში მოსახლეობის კინომომსახურების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს ეხებოდა. ამასთან დაკავშირებით პარტიის ცხინვალის რაიკომის მდივანი **რ. ჩოჩიევი** გვწერს:

გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილში „სად ვნახოთ კინოფილმი?“ მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. გაზეთის კრიტიკულ გამოსვლის შემდეგ პარტიის რაიკომმა ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის სათანადო ზომები მიიღო. კერძოდ, რაიონის კინოფიკაციის ხელმძღვანელობას დაევალა მშრომელთა მომსახურების გაუმჯობესება. ამასთან სოფელ დისეგში დანგრეული ნაგებობა აღდგება, შორეული სოფლების მოსახლეობას კინოფილმებზე დასასწრებლად ტრანსპორტით გადმოიყვანენ.

მკითხველები გვასტუოგინებენ

ფულუკიძ. „სოციალისტური სოფლის მეურნეობა მეათე ხუთწლედში — ამ თემას მიეძღვნა თეორიული კონფერენცია, რომელიც პარტიის რაიკომმა და საქართველოს სსრ სასოფლო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გაეგმეურ ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა, ფოლენტმა ო. ვაშაკიძემ, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა მ. გიდინაძემ, რაიონის მთავარმა ზოონიკოსმა ტ. ცაგარეიშვილმა და სხვ.

ბრ. ბეგეშაძე.

ჩხოროწყუ. „მეცხრე ხუთწლედის შედეგები და 1976-1980 წლებში სსრ კავშირის ... მეურნეობის ამოცანები“, სამეცნიერო-ტექნიკური სოფლის მეურნეობის ... ალისტური სოფლის მეურნეობა მეათე ხუთწლედში“, „სკკპ XXV ყრილობა „კრიტიკისა და თვითკრიტიკის მესაზღ“ — ამ საკითხებს მიეძღვნა თეორიულ-პროპაგანდისტიკული კონფერენციები.

რაიონის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა დიდხანს მსჯელობდნენ სკკპ XXV ყრილობაზე განხილულ საკითხებზე და მის ცხოვრებაში გატარებაზე.

ი. ნანუკაშვილი.

რატომ ჩამორჩა კომბინატი?

□ მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი კარიერმა მადნეულით ვერ უზრუნველყო □ კვალიფიციური კადრები არ ყოფნით □ მომრავლდა დაუმთავრებელი ობიექტები.

ამას წინათ გამართულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის კოლექტივის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა წლეულს, პირველ კვარტალში. კერძოდ, საქმე ეხება სპილენძისა და ბარიტუთიის მადნის მოპოვების, სპილენძის მადნის გადამუშავების, სპილენძის კონცენტრატის გამოშვების გეგმების შეუსრულებლობას.

რის შედეგია ადრე ამ მოწინავე კოლექტივის წარუმატებლობა?

მადნეულის სამთო გამამდიდრებელი კომბინატი ახალგაზრდა საწარმოა. მისი პირველი რიგი მარშანწინ ამოქმედდა, ხოლო მეორე — შარშან. როგორც ცნობილია, იგი, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტი, სახალხო მეურნეობის განვითარების მცხრე ხუთწლიანი გეგმით აშენდა. პირველ წელსვე მოიპოვა კოლექტივმა წარმატება. სულ მალე საპროექტო სიმძლავრის ათვისებაც იკისრა. მაგრამ...

წარმოიდგინეთ სრულიად უკაცრიელი ველი, უფრო სწორად ხეობა, სადაც მშენებლობის დაწყებამდე საურმე გზაც კი არ იყო. და აი მოვიდნენ ადამიანები, მოიტანეს სამამული სამშენებლო ტექნიკა, აღმართეს ხარაჩოები, ააგეს სახლები, სამრეწველო ნაგებობები, გაიყვანეს გზები და ქუჩები, წყალსადენები...

მთელი რესპუბლიკა მონაწილეობდა ფერადი მეტალურგიის მომავალი ქალაქის მშენებლობაში, და განა მარტო რესპუბლიკა, სპეციალისტები მოწვეული იყვნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან, დანადგარმოწყობილობებიც ასევე სხვადასხვა ქალაქებმა გამოაგზავნეს.

კომბინატის მშენებლობასთან ერთად მზადდებოდა მადნეულის კარიერი, რომელსაც 100 ჰექტარი ფართობი უჭირავს. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო, კარიერი მოუმზადებელი აღმოჩნდა და ვერ უზრუნველყოფს მადნეულით სამთო-გამამდიდრებელ კომბინატს.

— კომბინატის მშენებლობის მთელ პერიოდში, — ამბობს პარტიის ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი ი. გოგიტიძე, — საკავშირო გაერთიანება „სოიუზმედი“, რომელიც საერთოდ კარგ დახმარებას გვიწევდა, რატომღაც მეტად შეზღუდულად გამოყოფდა ხოლმე გადასახსნელი სამუშაოებისათვის საჭირო კაპიტალურ დაბანდებებს, და 1974 წელს მადნის მოპოვება უცვლ 4 მილიონ კუბურ მეტრამდე გაადიდა. წელს კი გეგმა ექვსი მილიონნი კუბური მეტრია.

ასეთი მოცულობის სამუშაოებისათვის კი კომბინატი უზრუნველყოფილი არ იყო შესაფერისი და საჭირო რაოდენობის სამთო-სატრანსპორტო მოწყობილობით.

კომბინატის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ 1973 წელს დააყენა გაერთიანების წინაშე საკითხი კარიერის ჯადასახსნელი სამუშაოების ფართო მასშტაბით გაშლის შესახებ. გაერთიანება „სოიუზმედმაც“. თითქოსდა მიიღო გადაწყვეტილება დამატებით სამთო-სატრანსპორტო მოწყობილობის გამოყოფის აუცილებლობაზე, მაგრამ გადაწყვეტილება მთლიანად არ შესრულდა. მხოლოდ წლეულს, აპრილში მიიღეს შედარებით ქმედითი ზომები: ამ დღეებში კომბინატს ეწვია სპეციალური კომისია, რომელმაც დეტალურად შეისწავლა საწარმოს ყველა ძირითადი საჭირბოროტო საკითხი და მათი მოგვარებისათვის წინადადებით შეეიდა ზემდგომ ორგანოებში. აი რა საკითხები დგას დღის წესრიგში:

უპირველეს ყოვლისა უნდა გადაიჭრას კარიერის სამთო-სატრანსპორტო დანადგარებით სრული დაკომპლექტების, სათადარიგო ნაწილების შემოზიდვის, 306-ადგილიანი საერთო საცხოვრებლის აშენების, მშენებლების მიერ ჯერ კიდევ დარჩენილი სამუშაოების „დამთავრების, მუშების ტრანსპორტით გადაყვანისა და სხვა საკითხები.

სწორი არ იქნება, მიმდინარე წლის პირველი ოთხი თვის გეგმების შეუსრულებლობა მხოლოდ ობიექტური მიზეზებით რომ ავხსნათ. ბევრი რამ თვით კომბინატის კოლექტივზე იყო და არის დამოკიდებული. აქ დროზე არ შეიძინე

გიორგი სამსონის-ძე ძოწენიძე

1976 წლის 5 მაისს 66 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, აკადემიკოსი გიორგი სამსონის-ძე ძოწენიძე.

გ. ს. ძოწენიძე დაიბადა 1910 წელს ქალაქ ჭუთაისში. 1929 წელს მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრაზე მუშაობდა ლაბორანტად, შემდეგ ასისტენტად და დოცენტად, ხოლო 1940 წლიდან — გეოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტის დეკანად.

გ. ს. ძოწენიძე დიდ პედაგოგიურ და სამეცნიერო-საკვლევ მუშაობას ეწეოდა, იგი 120-ზე მეტი მეცნიერული შრომის ავტორია. 1955 წელს გ. ს. ძოწენიძე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად აირჩიეს, იყო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. 1968 წლიდან გ. ს. ძოწენიძე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია.

გ. ს. ძოწენიძე — 1940 წლიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი — მეცნიერულ მუშაობას უნარიანად უხამებდა დიდ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეობას. იგი მრავალგზის იყო არჩეული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად, წლების მანძილზე იყო საბჭოთა კავშირის საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პრეზიდიუმის წევრი.

1959 წლიდან 1976 წლის იანვრამდე გ. ს. ძოწენიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე იყო, ხოლო 1960 წლიდან — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

სამშობლომ დიდად დააფასა გ. ს. ძოწენიძის ღვაწლი. იგი დაჯილდოებული იყო სამი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

გ. ს. ძოწენიძის გარდაცვალება მძიმე დანაკლისია საბჭოთა საზოგადოებრიობისა და ჩვენი მეცნიერებისათვის.

მისი ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს იმათ გულში, ვინც მას იცნობდა.

ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ვ. პოდგორნი, ა. ნ. კოსიგინი, მ. ა. სუსლოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. უ. ჩერნენკო, კ. თ. ილიაშენკო, ვ. პ. რუბენი, ა. პ. შიტიკოვი, მ. პ. გიორგაძე, ს. პ. ტრაპეზნიკოვი, ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ა. პ. ალექსანდროვი, ი. ნ. ვეკუა, მ. ვ. კელდიში, ა. ვ. სიდორენკო, ვ. ი. ვასილიევი, პ. პ. გურეევი, დ. ნ. ნიკიტინი.

საქართველოს სსრ ხაზოგადოება „ცოდნის“ გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარე აკადემიკოსი

გიორგი სამსონის-ძე ძოწენიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტი, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი, ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სექტორი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება, თიხების შემსწავლელი საუწყებათაშორისო კომისია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო სახმოთა მეცნიერი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი

გიორგი სამსონის-ძე ძოწენიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მსოფლიოს ამბები

პრინციპული პოზიცია

არაბული პრესა კმლავ ვრცელ კომენტარს უძღვნის საბჭოთა მთავრობის განცხადებას ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის შესახებ

ამმანი საბჭოთა განცხადება, რომელშიც დადასტურებულია პრინციპული პოზიცია ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგების საკითხებზე, მიზნად ისახავს ამ პრობლემის სამართლიან და საფუძვლიან გადაწყვეტას. იგი ბევრმხრივ ემთხვევა იორდანიის პოზიციას, და მთლიანად — საერთო არაბულ პოზიციას, — წერს გაზეთი „აშ-შაბაბი“. ეს დამთხვევა, ხაზს უსვამს გაზეთი, გამოვლინდა როგორც ახლო აღმოსავლეთში მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის დამყარების ნათელი პრინციპების პატივისცემის შედეგი. არაბებმა, განაგრძობს გაზეთი, ახლა საერთაშორისო ასპარეზზე უნდა განსაზღვრონ, ვინ არის მათი მტერი და ვინ — მოყვარე.

ბეირუთი ლიბანის ეროვნულ-პატრიოტული ძალების ხელმძღვანელობამ მაღალი შეფასება მისცა სსრ კავშირის პოზიციას, რომელიც ჩამოყალიბებულია საბჭოთა მთავრობის განცხადებაში. „საბჭოთა მთავრობა, — ნაწგასმულია ეროვნულ-პატრიოტული ძალების კომუნიკეში, — სერიოზულ ყურადღებას უთმობს ლიბანში პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის ძალებისათვის ლაგერის ჩაცემისა და არაბთა წაკიდების — ძმათამკვლელ ომში ჩაბმის ცდებს“.

საბჭოთა მთავრობის განცხადება, აღნიშნულია კომუნიკეში, პალესტინელი და ლიბანელი ხალხებისადმი სოლიდარობისა და იმ ერთ-ერთი სახის მხარდაჭერის გამოხატულებაა, რომელსაც ლიბანის ეროვნულ-პატრიოტულ მოძრაობას უწევენ.

კაირო გაზეთი „ალ-აჰრამი“ სათაურით „სამი პრინციპი, რომლებსაც საბჭოთა კავშირი აყენებს, როგორც ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მოწესრიგების საფუძვლს“, აქვეყნებს საბჭოთა მთავრობის განცხადების შინაარსს.

გაზეთი გამოაყოფს განცხადების იმ ადგილებს, სადაც ნათქვამია, რომ ახლანდელი მდგომარეობის შენარჩუნება ახლო აღმოსავლეთში საფრთხეს შეუსაბამება ზოგიერთი ძალების ხანგრძლივ გეგმებს — თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარონ ახლო აღმოსავლეთის რაიონი და, რომ ახლო აღმოსავლეთში დაძაბულობის საშიში კერის ლიკვიდაცია ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანაა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ—ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ

მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულება

პრაღა, (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი იყო, არის და იქნება კავშირი, მეგობრობა და თანამშრომლობა სსრ კავშირთან. ჩვენი მჭიდრო ძმური ურთიერთობის საფუძველია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ამხანაგური თანამშრომლობა, რომელსაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთგულება, წერს დღეს გაზეთი „რუდე პრავო“ მოწონაგე სტატიაში, რომელიც ეძღვნება სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მეექვსე წლისთავს.

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ახალი ხელშეკრულების დადების მეექვსე წლისთავი ფართოდ აღიხსნება ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში. პრაღაში, ბრატისლავაში, ოსტრავაში, ბრნოსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში გაიმართა საზოგადოებრიობის საზეიმო კრებები, რომლებზეც ხაზგასმით აღინიშნა, რომ ხელშეკრულების დებულებათა შესაბამისად წარმატებით ვითარდება ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული თანამშრომლობა.

ჩეხოსლოვაკიის ქალაქებისა და სოფლების ბევრ საწარმოში, კლუბებსა და კულტურის სახლებში გაიხსნა გამოფენები, რომლებიც აშუქებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ყოველმხრივ კავშირურთიერთობას, სკკპ XXV ყრილობისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XVI ყრილობის მნიშვნელობას თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისათვის. ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის აქტივისტები კითხულობენ ლექციებსა და მოხსენებებს სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ხელშეკრულების ისტორიული მნიშვნელობის შესახებ.

---

7 მაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაქტები მოვლენები პრობლემები

საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

საკდესი მეატყობინება

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ

გუდაპეშტი

აქ გაიხსნა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოსა და ფინეთის თანამშრომლობის კომისიის სპარანსპორტო სამუშაო ჯგუფის მეხუთე სხდომა. სხდომაზე იხილავენ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ერთობლივ მუშაობასთან ავტომატიკის, ტელემექანიკისა და რკინიგზის ტრანსპორტზე შორი კავშირის თანამედროვე საშუალებათა შექმნასთან, ერთიანი ცენტრალური სატრანსპორტო სალისპეტჩერო სამსახურის მოწყობასთან.

კოპენჰაგენი

კვლავ უარესდება დანიის ფინანსური მდგომარეობა. ქვეყნის სტატისტიკური სამმართველოს ცნობით, მისი ვალუტის მარაგი ამა წლის ოთხი თვის განმავლობაში ერთიორად და მეტად შემცირდა და მაისის დამდეგისათვის შეადგინა 4,9 მილიარდ კრონი. ვალუტის მარაგის მეტი ნაწილი, აღნიშნულია ცნობაში, დაიხარჯა უცხოეთის ვალების გასასტუმრებლად და სავაჭრო ბალანსის დეფიციტის დასაფარავად, რომელმაც პირველ კვარტალში 2 მილიარდ კრონს მიაღწია.

ბრიუსელი

დემონსტრაციები და გაფიცვები მოარყევს ბელგიის დედაქალაქის თეატრების მსახიობებმა. ისინი გამოვიდნენ ქალაქის ქუჩებში, რათა ეჩვენებინათ, რომ მტკიცედ აქვთ დადგენილი იბრძოლონ დასაქმებისათვის, შემოქმედებითი შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის.

ბრაზილია

ბრაზილიაში ფართოდ რეკლამირებულმა აგრარულმა რეფორმამ, რომელიც უკვე 10 წელიწადზე მეტია ხორციელდება, ვერაფერი შეცვალა მიწათმფლობელობის არსებულ სისტემაში. ეს განაცხადა ეროვნულ კონგრესში გამოსვლისას სენატორმა ა. მარიამ. მან აღნიშნა, რომ ამ ხნის განმავლობაში უმიწაწყლო გლეხთაგან მხოლოდ ორმა პროცენტმა მიიღო მიწა. მიწის საერგებულების მეტი ნაწილი კი ისევ ლატიფუნდისტების ხელშია. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა, ხაზი გაუსვა სენატორმა, შეიქმნა ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.

უხეში ჩარევა

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲘᲐᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲪᲓᲐ ᲩᲐᲠᲔᲕᲐᲜᲘᲡ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲡᲐᲨᲘᲜᲐᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲑᲨᲘ

ვაშინგტონი. (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ შეიქმნა ეგრეთწოდებული „ხმელთაშუაზღვისპირეთში თავისუფლებისათვის მებრძოლი სამოქალაქო ალიანსი“, რომელიც მიზნად ისახავს დაარწმუნოს იტალიელი ამომრჩევლები, რომ მომავალი პარლამენტის არჩევნებში ხმა არ მისცენ კომპარტიის კანდიდატებს.

მემარჯვენე ყაიდის პოლიტიკურმა მოღვაწემ ჯონ კონელმა, რომელიც სათავეში ჩაუდგა ამ „ალიანსს“, სცადა საქმე ისე წარმოედგინა, თითქოს ეს ყოფილიყოს „საზოგადოებრივი ორგანიზაცია“. მაგრამ საკსენი ნათელია, რომ საქმე ეხება მორიგ ძირგამომთხრელ ორგანოს სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევისათვის. თვით კონელი ამჟამად საზღვარგარეთ ამერიკის შეერთებული შტატების სადაზვერვო სამსახურის საკითხთა დარგში პრეზიდენტთან არსებული საკონსულტაციო სამეფოს წევრია. რეაქციული „ალიანსი“, ამრიგად, უშუალოდ იქნება დაკავშირებული ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსა და სხვა სადაზვერვო ორგანოებთან, აგრეთვე პენტაგონთან ამ ორგანოს ხელმძღვანელობაში შესული გენერალ ე. გუდაპაისტერის მეშვეობით, რომელიც ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი იყო.

„ალიანსმა“ უკვე დაიწყო საშუალებების მობილიზაცია თავისი ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის. იგი აპირებს იტალიის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევისათვის მიიზიდოს იტალიური ფირმრობის ამერიკელები, აგრეთვე პოლიტიკური დივერსიებისათვის გამოიყენოს იტალიაში ამერიკელი სპორტსმენების, მსახიობების, პოლიტიკური მოღვაწეების მოგზაურობა.

კითხვაზე, ხომ არ მიაჩნია კონელს, რომ მისი „ალიანსის“ საქმიანობა სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევა იქნება, მან ცინიკურად უპასუხა: „დიახ, ეს, ალბათ, ჩარევაა მათ საშინაო საქმეებში, მაგრამ ამას ჩვენ ჯერ კიდევ 40-იან წლებში „ვამრეობდით“.

რომი. (საკდესი). იტალიური გაზეთების ცნობითაც, ამერიკის შეერთებულ შტატებში „ხმელთაშუაზღვისპირეთში თავისუფლებისათვის მებრძოლი სამოქალაქო ალიანსის“ შექმნა შეერთებული შტატების ახალი ცდაა, რომ ჩაერიოს იტალიის საშინაო საქმეებში იმ დროს, როცა ქვეყანა ვადამდელი პარლამენტის არჩევნებისათვის ემზადება.

შეთქმული დააპატიმრეს

რომი, (საკდესი). 5 მაისს ღამით ტურინში დააპატიმრეს ლიბერალური პარტიის უკიდურესი მემარჯვენე ფრთის ლიდერი ედგარდო სონინო და ვინმე ლუიჯი კავალო, რომელიც ცნობილია, თავისი ურთიერთობით ანტიკომუნისტურ და სხვა რეაქციულ წრეებთან. მათ ბრალად ედებათ სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულება.

როგორც პრესა იტყობინება, დაპატიმრებულნი მონაწილეობდნენ სახელმწიფო გადატრიალების ცდაში, რომელიც ჩაიშალა. ამ გადატრიალების მოხდენას 1974 წელს აპირებდა ცნობილი ნეოფაშისტი „შავი თავადი“ ვალერიო ბორგეზე. ჯგუფს, რომელსაც ე. სონინო მეთაურობდა, ტანდა მოეტაცა იტალიის პრეზიდენტი ჯ. ლეონე, ამასთანავე განზრახული ჰქონდათ მთელ ქვეყანაში მოეწყოთ სხვა პროვოკაციები და ტერორისტული აქტები, რაც, შეთქმულთა ჩანაფიქრით, მემარჯვენე ძალებს საბაბს მისცემდა იტალიაში „ძლიერი ხელისუფლების რეჟიმის“ დასამყარებლად.

ქვეყნის დემოკრატიული საზოგადოებრიობა გადაჭრით მოითხოვს, რომ მკაცრად დასჯილნ რეაქციის შეთქმულებაში მონაწილე ყველა პირი.

□

მიწისძვრა ევროპაში

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲛᲗᲚᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲥᲕᲧᲧᲣᲜᲔᲑᲨᲘ ᲬᲣᲮᲔᲚ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲔᲞᲘᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲣᲙᲘᲜᲓᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲝ-ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲚᲕᲔᲗᲘᲡᲙᲔᲜ, ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ, ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲗᲐ ᲛᲘᲬᲐᲖᲔ.

იტალიაში მიწისქვეშა ბიძგების მთელი სერიის შედეგად, რომელთაგან ყველაზე ძლიერი 6,5 बალს სჯარბობდა რიხტერის სკალით, დანგრეული ან ძლიერ დაზიანებულია ბევრი პატარა ქალაქი და სოფელი უდინეს ჩრდილოეთით. დაღუპულთა რიცხვმა, ოფიციალური მონაცემებით, 200 კაცს გადააჭარბა, ხოლო დაშავებულთა რიცხვმა — 1.000 კაცს. ჯერჯერობით არ არის ზუსტი ცნობები მომხდარი ტრაგედიის მასშტაბის შესახებ, რადგან მთელი კავშირი იტალიის ჩრდილოეთ რაიონებთან შეწყვეტილია. დანგრეულია ხიდები. შეწყდა წყლის და ელექტროენერგიის მიწოდება. დაზარალებული რაიონების დასახმარებლად მობილიზებულია ჯარის ნაწილები და პოლიცია, რომლებიც აწარმოებენ გადარჩენის სამუშაოებს.

4-5 बალის სიმძლავრის მიწისქვეშა ბიძგები ავსტრიის სეისმური საგუშაგოს მიერ რეგისტრირებულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ავსტრიის სამხრეთ მხარეებში — კარინთიასა და შტირიაში — დაზიანებულია მთელი რიგი შენობები, დარღვეულია ელექტრომომარაგება და სატელეფონო კავშირი.

5 बალის ძალის მიწისქვეშა ბიძგები რეგისტრირებულია იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიის მეტ ნაწილზე. მსხვერპლი არ არის, მატერიალური ზარალი უმნიშვნელოა.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

№ 688 რუსთავის საარჩევნო ოლქისაგან არჩეული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის დეპუტატის გაწვევის თაობაზე კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ“ სსრ კავშირის 1959 წლის 30 ოქტომბრის კანონის მე-7 მუხლის მესამეთაგე დამატებადეს № 688 რუსთავის საარჩევნო ოლქისაგან არჩეული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატის გაწვევის თაობაზე კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისია საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მშრომელთა საზოგადოებებს შემდეგი წარმომადგენლებს შემადგენლობით:

საოლქო კომისიის თავმჯდომარე

ელენტი ვახტანგ ივანეს-ძე — რუსთავის საქალაქო კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

საოლქო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

ჩავდარიანი თეიმურაზან სულეიმან ოღლი — მარნეულის რაიონის აღგეთის საწარმოებული საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისაგან;

საოლქო კომისიის მდივანი

ახანიშვილი მერაბ ვლადიმერის-ძე — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის რუსთავის საქალაქო ორგანიზაციისაგან;

საოლქო კომისიის წევრები:

ნოვიკოვა ლუდმილა ვასილის ასული — რუსთავის ქიმიური ქარხნის ცენტრალური ქიმიური ლაბორატორიის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების და მოსამსახურეებისაგან;

რეიოვა-უზბეტელაშვილი ვალენტინა კონსტანტინეს ასული — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

კერვალიძე თამარ გრიგოლის ასული — საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატთა ბინათმართველობის სამინისტროს ამიერკავკასიის „მეტალურგშენის“ ლენინის ორდენსანი № 1 ტრესტის № 2 სამშენებლო სამმართველოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის პირველადი ორგანიზაციისაგან;

გუმბატოვა მაია ბაირამ ყზი — დმანისის რაიონის ეგრისის მერძეველობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისაგან;

ფიროსმანაშვილი ანა სტეფანეს ასული — წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვების ყდანონის სახელმწიფო კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

გუსეინოვი უგურლუ ორუჯ ოღლი — ბოლნისის რაიონის ფახრალოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისაგან;

შვანგირაძე ქეთევან მინას ასული — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ბოლნისის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ისკანდაროვა აზადა ალაზის ასული — მარნეულის საქალაქო საავადმყოფოს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის პირველადი ორგანიზაციისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ბილაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კპაჰაძე

1976 წლის 7 მაისი.

ᲛᲔᲫᲓᲕᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲜᲐᲣᲚᲘ

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში გაიმართა დიდი სამამულო ომის მონაწილეების — საბჭოთა არმიის გენერლების, საბჭოთა კავშირის გმირების შეხვედრა პარტიის ვეტერანებთან, თბილისელ კომკავშირელებთან და ახალგაზრდობასთან. შეხვედრა მოაწყვეს ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალმა, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის სექციამ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა.

სტუმრებმა დაათვალიერეს დიდი ბელადის კრეტის სამუშაო კაბინეტის მაკეტი, მოისმინეს ცალადიძერ ილიას-ძის სიტყვების „რა არის საბჭოთა ხელისუფლება?“, „მიმართვა წითელი არმიისადმი“ გრამჩანაწერი.

საუბარი თემაზე: „ლენინი სოციალისტური სამშობლოს დაცვის შესახებ“ მოაწყვეს მუზეუმის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომლებმა თ. ცხვედიანმა და ი. შეხვალიამ.

შეხვედრაზე გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის სექციის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი ვ. ჯანჯღავა, გადამდგარი გენერალ-მაიორები გ. ყურაშვილი, მ. ნიზაროვი, საბჭოთა კავშირის გმირი დ. ჯაბიძე.

სტუმრებს მიესალმნენ სკკპ წევრი 1917 წლიდან დ. ლომაძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ბაქრაძე, ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი ფ. მახარაძე. პიონერებმა სტუმრებს ყვავილები მიართვეს.

დასასრულ. აჩვენეს დოკუმენტური ფილმი „ცოცხალი ლენინი“. (საქინფორმი).

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ

ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ

8 ᲛᲐᲘᲡᲘ ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲣᲚᲘ ᲬᲐᲨᲘᲖᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხს დიდი ზეიმი აქვს — ქვეყნის მშრომელები უსაზღვრო სიხარულით აღნიშნავენ ჰიტლერული ფაშიზმისაგან განთავისუფლების 31-ე წლისთავს. ამ დღეებში დემოკრატიული გერმანიის პრესა, ვრცელ მასალებს რომ უძღვნიდა სადღესასწაულო მზადებას, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ გერმანიის სოციალისტური სახელმწიფოს განვითარება და აყვავება შესაძლებელი გახდა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან და, უწინარეს ყოვლისა, სსრ კავშირთან ძმური თანამშრომლობის მეოხებით, ქვეყანასთან, რომლის ძლევამოსილმა არმიამ 31 წლის წინათ ფაშიზმისაგან იხსნა გერმანელი ხალხი.

რა მიღწევებით ხვდება თავის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა?

ამ კითხვაზე პასუხს იძლევა საკდესის ბერლინელი კორესპონდენტის ხ. ხოსნოვსკის წერილი, რომელსაც ვთავაზობთ მკითხველს მცირეოდენი შემოკლებით.

ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘ მაისი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში განსაკუთრებულია. რესპუბლიკა ემზადება ღირსშესანიშნავი მოვლენისა — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IX ყრილობის შესახვედრად. ყრილობის გახსნამდე — 18 მაისამდე — სულ რამდენიმე დღე რჩება.

გზა, რომელიც ქვეყანამ გასულ ხუთწლედში განვლო, სახელოვანი მიჯნაა გერმანიის მიწაზე შექმნილი პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ისტორიაში.

განვლილი პერიოდი აღინიშნა საერთაშორისო ასპარეზზე რესპუბლიკის ავტორიტეტის განუხრელ ზრდით. თუ 1971 წელს ბერლინში იყო სახელმწიფოთა მხოლოდ 28 დიპლომატიური წარმომადგენლობა, ახლა აქ მუშაობს უცხოეთის ქვეყნების 120-მდე საელჩო. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი გახდა, მან ღირსეული ადგილი დაიკავა არაერთ დიდ საერთაშორისო ორგანიზაციაში. მის აზრს ყურად იღებენ მსოფლიო პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისას.

ამ წარმატებებს რესპუბლიკამ მიაღწია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VIII ყრილობის საგარეო-პოლიტიკური პროგრამის მიზანდასახული განხორციელების შედეგად, საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის განმტკიცებითა და გაღრმავებით.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა იყო 1975 წლის 7 ოქტომბერს მოსკოვში ხელმოწერილი ახალი ხელშეკრულება გდრ-სსრ კავშირს შორის მეგობრობის შესახებ. ამ დოკუმენტმა ორი ქვეყნის ძმური ურთიერთობა ახალ, თვისობრივად უფრო მაღალ დონეზე აიყვანა.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IX ყრილობის დირექტივების პროექტში 1976-1980 წლებში სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ ჩაწერილია: „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შემდგომი ეკონომიური და სოციალური განვითარების გადამწყვეტი პირობაა საბჭოთა კავშირთან და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ სხვა ქვეყნებთან ყოველმხრივი თანამშრომლობა“.

საგარეო პოლიტიკის დარგში მოპოვებული მიღწევები გახდა ყოფილია ქვეყნის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებასა და სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ყველა უბანზე მოპოვებული წარმატებებისაგან. განვლილ ხუთწლედში ეროვნული შემოსავალი ყოველწლიურად საშუალოდ 5,4 პროცენტით იზრდებოდა, სამრეწველო წარმოების მოცულობა 1975 წელს 1970 წელთან შედარებით 37 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მოსახლეობის რეალური შემოსავალი — 27 პროცენტით. სახალხო მეურნეობა ვითარდებოდა სტაბილურად და დინამიურად.

წარმატებით შესრულდა საცხოვრებელი ბინების მშენებლობის პროგრამა. ხუთ წელიწადში ახალ, კეთილმოწყობილ ბინებში შესახლდა ნახევარ მილიონზე მეტი მუშისა და მოსამსახურის ოჯახი. ქალაქებში გაჩნდა ახალი რაიონები, იიგო ასობით სამაგავო ბაღი, სკოლა, პოლიკლინიკა, სპორტული კომპლექსი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა აქტიურად მონაწილეობს სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის პროგრამის განხორციელებაში. კერძოდ, რესპუბლიკას 500-ზე მეტი გრძელვადიანი შეთანხმება აქვს დადებული სამეცნიერო ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირთან. უკანასკნელ ხუთწლედში ამ ორ ქვეყანას შორის საქონელბრუნვა ერთნახევარჯერ და მეტად გაიზარდა. სამინისტროები, სამეურნეო-გაერთიანებანი მჭიდროდ თანამშრომლობენ სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში ახალი ტექნოლოგიური პროცესების შემუშავებაში, მსხვილი ობიექტების მშენებლობაში. თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის პრიგადები, მაგალითად, მონაწილეობენ მაგისტრალური გაზსადენის ოფენბურგ-სსრ კავშირის დასავლეთ საზღვრის მშენებლობაში. გერმანელი სპეციალისტები საბჭოთა პარტნიორებთან ერთად აგებენ უსტ-ილიმის ცელულოზის კომბინატს და ასბესტის კომბინატს ყაზახეთში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა დინამიურად განვითარდება ახალ ხუთწლედშიც. რესპუბლიკა გრძელვადიან სტრატეგიულ ამოცანად კვლავ რჩება ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება. როგორც ყრილობის დირექტივების პროექტშია აღნიშნული, ახალი ხუთწლედის დავალება — ეს რესპუბლიკის მშრომელთა ძემოქმედებითი შრომის დიდი სტიმულია.

საქართველოს ქთა-ბაზაში

პასპორტები შრომის მოწინავეებს

ცხინვალი. (საკ. კორ.). გრძელდება ახალი პასპორტების გაცემა, გამოცვლა. იმ მიზნით, რომ მუშებმა გამოცვლაზე დრო არ დაკარგონ, ცხინვალის სპასპორტო მაგიდის თანამშრომლები სამუშაო უბნებზე მიდიან და საზეიმო ვითარებაში გადასცემენ ახალ პასპორტებს.

ცხინვალის ვიბრაციული მანქანების ქარხანაში მილიციის საქალაქო განყოფილების უფროსმა ვ. კაბულოვმა და სპასპორტო მაგიდის უფროსმა ვ. ბოლათაევამ, ახალი ნიმუშის პასპორტები გადასცეს კომუნისტური შრომის დამკვრელებს ე. ბოთინაშვილს, ვ. ბიბილოვს, ი. ჯიოევს, ბ. ცასოევს, მ. კაბულოვს და სხვებს. სულ 25 მუშას, რომლებიც უკვე წლის მეორე ნახევრის ანგარიშში მუშაობენ.

ქეგობრობის თეატრის ორბიტაზე

დღეს, 8 მაისს თბილისში გასტროლებს იწყებს ერევნის დრამატული თეატრი

წლეულს თბილისს „მეგობრობის თეატრის“ მოწვევით ჩვენი ქვეყნის ორი გამორჩეული თეატრის კოლექტივი უკვე ესტუმრა: მოსკოვის სამხატვრო თეატრი და ლენინგრადის გორკის სახელობის დიდი დრამატული თეატრი, რომელთა სპექტაკლებმა მოხიბლა თბილისელი მაყურებელი. ამჯერად თბილისელთა წინაშე ერევნის დრამატული თეატრის კოლექტივი რამდენიმე სპექტაკლით წარსდგება.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური და მოზარდ-მაყურებელთა რუსული თეატრების სცენაზე წარმოდგენილი იქნება **აკოფ პარონიანის „აღმოსავლეთელი დანტისტი“**. დამდგმელი რეჟისორია საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი რ. კაპლანიანი, მხატვრული გაფორმება ვ. ვართანიანს ეკუთვნის, მუსიკა — რ. ამირხანიანს, ცეკვები დადგა ფ. ელანიანმა.

9 და 10 მაისს მაყურებელი ნახავს **ბერნარდ შოუს „შოკოლადის ჯარისკაცს“**. სპექტაკლი დადგა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ბ. რავენსკიხმა, მხატვრობა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ვ. შაპორინს, მუსიკა — ი. კირენერს.

10 მაისს ნაჩვენები იქნება **ედუარდო დე ფილიპოს „ფილუმენა მარტურანო“**. წარმოდგენის რეჟისორია საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ე. სამონოვი, მხატვარი — საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი მ. სარიანი. სპექტაკლი მუსიკალურად გაფორმა რ. არხანგელსკიმ.

11 და 13 მაისს სომეხი მსახიობები წარმოადგენენ **ლუის ბელანგას „ჯალაბს“**, დამდგმელი რეჟისორია საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი რ. კაპლანიანი.



თბილისი. გაზაფხული ბოტანიკურ ბაღში.
ზ. დათუაშვილის ფოტო.

ნ. ჩახვაშვილი

გარდაიცვალა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, 1940 წლიდან სკკპ წევრი, დიდი სამამულო ომის მონაწილე, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ალექსანდრეს-ძე ჩახვაშვილი. იგი დაიბადა 1906 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში, ღარიბი გლეხის ოჯახში. მან სწავლის, შრომის დიდი გზა განვლო. 1940 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1961 წელს — სადოქტორო დისერტაციები. ნ. ჩახვაშვილი იყო თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი და მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგე, ქემდგ — საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგე, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის უფროსი მეცნიერი მუშაკი.

1967 წლიდან ნ. ჩახვაშვილი საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრის პროფესორია. ღვაწლმოსილი პედაგოგი და გამოცდილი ლექტორი თვალ თავის ცოდნას და ენერგიას ახმარდა ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას. იგი მრავალი მეცნიერული შრომის ავტორი იყო, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფიისა. აქტიური მოხაწილეობა აქვს მიღებული საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევების შექმნაში, იყო ამ კაპიტალური ნაშრომის ერთ-ერთი თანაავტორი.

ღვაწლმოსილი მეცნიერისა და აღმზრდელის, გულისხმიერი ადამიანის ნ. ა. ჩახვაშვილის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრებისა და აღზრდილების გულში.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო; საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი; საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

ჭიდაობა

„ოქრო“ და „ვერცხლი“

6 მაისს კიევის სპორტის სასახლეში დაიწყო ევროპის ჩემპიონატი ძიუ-დოში. პირველ დღეს გამოსულთა შორის ექვსიდან სამი საბჭოთა სპორტსმენი უკვე ფინალში გავიდა. იმავე დღეს გვიან ღამით თბილისელმა თემურ ხუბულურმა დამარცხა ბელგიელი ვანდე ვალი და ოქროს მედალი მოიპოვა, ხოლო გივი ონაშვილმა გადაწყვეტი ორთაბრძოლა წააგო კიეველ სერგი ნოვიკოვთან და მხოლოდ „ვერცხლს“ დასჯერდა.

ფეხბურთი

უკანასკნელ წუთებე...

გამოვლინდა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების კიდევ ერთი მეორეხარისხოვანი ეს არის დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“, რომელმაც მერვეფინალურ მატჩში ანგარიშით 1:0 დაამარცხა სომფერეროპოლის „ტავრია“.

გამარჯვების მომტანი ბურთი 90-ე წუთზე გაიტანა „დნეპრის“ ფეხბურთელმა რომანიუკმა.

ხელბურთი

შეიარაღებული ძალების პირველობა

6 მაისს კიროვის სახელობის პარკის სპორტულ დარბაზში დაიწყო შეიარაღებული ძალების პირველობა ხელბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობს ცხრა გუნდი, რომლებიც დაყოფილია სამ ქვეჯგუფად. ტურნირის დამთავრების შემდეგ გამოვლინდება საუკეთესო ექვსეული.

გუშინ კიევის არმიის სპორტული კლუბის ხელბურთელებმა ანგარიშით 29:25 დაამარცხეს ჯარების ცენტრალური ჯგუფის წარმომადგენლები. მწვავე, თანაბარ ბრძოლაში ოდესის სამხედრო ოლქის სპორტსმენებმა მოუგეს ტურნირის მასპინძლებს — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის გუნდს ანგარიშით 25:24. ბაქოს სპარტა თავდაცვის ოლქის კოლექტივმა კალათბურთის ანგარიშით დაამარცხა ჯარების სამხრეთის ჯგუფის გუნდის ხელბურთელები—41:19.

ავტომობილი

გუშინ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში წვიმდა, 13 საათზე დაბლობ რაიონებში 16.19, მთებში 7-10 გრადუსი სითბო იყო.

აღმოსავლეთ საქართველოში უნალექო ამინდი იდგა, მგკერის ხეობაში ძლიერი ქარი ქროდა. ყველაზე მეტი სითბო — 20 გრადუსი თელავში აღინიშნა, დაბარჩენ დაბლობ რაიონებში 16-19, მთებში 7-10 გრადუსი სითბო იყო.

თბილისში 13 საათზე თერმომეტრი 17 გრადუს სითბოს უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი ძოლრეტულობა უმეტესად უნალექოდ, დაბლობ რაიონებში 18-24, მთებში 12-17 გრადუსი სითბო იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია უმეტესად უნალექო ამინდი, მგკერის ხეობაში დასავლეთის ქარი იქროლებს, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 18-23, მთებში 11-16 გრადუსი სითბო.

თბილისში უნალექო ამინდია მოსალოდნელი, იქროლებს ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა — 21-23 გრადუსი სითბო.

რედაქტორი
დ. მეჟლიშვილი.

ჭადრაკი

ოთხთა მატჩ-ტურნირი

ამ დღეებში ამსტერდამში იწყება საინტერესო საერთაშორისო მატჩ-ტურნირი მსოფლიოს ექს-ჩემპიონის — ფილიპ პრეზიდენტ მაკს ეიკეს პატივსაცემად, რომელსაც დაბადების 75 წელი შეუსრულდა.

შეჯიბრებაში მონაწილეობენ მსოფლიოს ჩემპიონი კარპოვი, ამჟ-ს ჩემპიონი ბრაუნი, დიდოსტატები ოლაფსონი (ისლანდია) და ტიანინი (პოლანდია). ამ ასპარეზობის დამთავრების შემდეგ კარპოვი გაეშურება ესპანეთში, სადაც მას გადაეცემა ჯილდო „ოსკარი“, როგორც 1975 წლის № 1 მოჭადრაკეს.

ვრნიაჩკა-ბანიას ტრადიციული

ვრნიაჩკა-ბანიაში (იუგოსლავია) დამთავრდა დიდი ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 16 დიდოსტატი და ოსტატი მოაწოლეობდა, მათ შორის თბილისელი ე. გუფელდი.

15 თამამიდან 10,5 ქულით პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს საერთაშორისო ოსტატებმა რაიჭევიჩმა და რაიკოვიჩმა (ორივე იუგოსლავია). 9,5 ქულით მესამე ადგილზე გამოვიდა ოსტატი შასოვიჩი (იუგოსლავია). 9 ქულით მეოთხე-მეხუთე ადგილები გაიყვეს დიდოსტატმა გუფელდმა და საერთაშორისო ოსტატმა სპასოვმა (ბულგარეთი). 9,5 ქულა აქვთ დიდოსტატებს პადევსკისა (ბულგარეთი) და ლეფდიელს (უნგრეთი).

საქართველოს პირველობაზე

მმსამმ ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები — ჭიპაშვილი და კაპანაძე. გაიმარჯვა კაპანაძემ. საქართველოს ჩემპიონმა სტრუთამ მოუგო სიხარულიძეს, ჭიტიშვილმა — ვეფხვიშვილს. გრიგოლაშვილი-ჩიქოვანი და ჯაფოვეი-უბილავა ყაიმზე შეთანხმდნენ.

სამი პარტია გადაიდო.

3 ტურის შემდეგ 2,5 ქულით პირველ ადგილზეა ოსტატობის კანდიდატი კაპანაძე.

პირველი პროგრამიდან

10 მაისი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.10 — დილის ვარჯიში,
10.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.05 — „კინომოგზაურთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
18.05 — ნახატი ფილმი „ვასილისა მიკულიშნა“,
18.25 — განცხადებები,
18.30 — მოსწავლეთათვის — — „გზაჯვარედინზე“,
19.00 — „ეკსტრაკი“ — საინფორმაციო პროგრამა,
19.20 — „განვამორციელოთ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი“.
19.45 — „სოციალისტური შეჯიბრების დღიური“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.30 — კინონარკვევი — „ფრინველების საზეციანი“,
20.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.15 — ციკლიდან „მკითხველი, მწერალი, კრიტიკოსი“ გ. გოგიჩაიშვილი— „სამაია“,
22.00 — „ვრემია“ საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.35 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „დინამო“ (თბილისი) II ტაიმის ვიდეოჩანაწერი.

11 მაისი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.10 — დილის ვარჯიში,
მოსახულებითა“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.30 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.00 — „ფეხბურთი სსრ კავშირის თასზე. 1/8 ფინალი, — „ცსკა“ — „ტორპედო“ (გადმოცემა მოსკოვიდან),

13 მაისი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.10 — დილის ვარჯიში,
10.30 — დოკუმენტური ფილმი — „ყურადღება, ბუნება“,
11.30 — მხატვრული ფილმი — „სინათლე გვირაბის ბოლოს“,
17.00 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა,
17.30 — კინონარკვევი — „ვოლგოგრადი, გაზაფხული“,
19.00 — მოსწავლეთათვის — კონცერტი,
19.30 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.10 — „შრომა და დასვენება“ — სატელევიზიო პროფკავშირული ჟურნალი,
21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.30 — „უკრავს ნატალია ავალიანი“ — ფერადი გამოსახულებით,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — სატელევიზიო სპექტაკლი „უნინმაჩინის ქუდი“ (საქართველოს ტელევიზიის დადგმა). ფერადი გამოსახულებით.

14 მაისი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.10 — დილის ვარჯიში,
10.30 — „მხიარული სტარტები“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.15 — მხატვრული ფილმი „ჯერ მწუხრი არ დამდგარა“,
16.50 — მოსწავლეთათვის — ფრანგული ენა,
17.20 — კინონარკვევი — „უძველესი ქალაქი ლვოვი“,
18.15 — განცხადებები,
18.20 — „საზოგადოება და დანაშაული“,
19.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „კარპატი“ (ლვოვი),
20.45 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ორი ვიზიტი“,
21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.30 — კონცერტი,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.35 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: პირველი ლიგა: „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) II ტაიმის ვიდეოჩანაწერი.

15 მაისი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.10 — დილის ვარჯიში,
10.30 — „მაღვიძარა“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.00 — „შეგისწავლოთ რუსული ენა“,
11.45 — კინონარკვევი — „ღიმილი“,
12.00 — ტელესტუდია „ორლეონოკის“ ნორჩი კორესპონდენტების შეხვედრა ლენინური პრემიის ლაურეატთან, აკადემიკოს მ. ნ. დუბინინთან — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
13.00 — „მუსიკალური კიოსკი“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
13.20 — „ჯადოსნური ეკრანი“,
13.40 — „კინოფიშა“,
14.10 — „საჭადრაკო სკოლა“,
14.40 — „კინოდოკუმენტალისტის თვალთთ“,
15.10 — „ჯანმრთელობა“ —სატელევიზიო პროგრამა,
15.40 — „კინოს მოყვარულთათვის“
17.00 — მოსწავლეთათვის — „თეატრი და ბავშვები“,
17.40 — „ახალგაზრდობა“ — სატელევიზიო პროგრამა,
18.00 — „საერთაშორისო პანორამა“ ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
18.30 — საესტრადო კონცერტი,
19.15 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: ცსკა — „სპარტაკი“ ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.00 — „კინომოგზაურთა კლუბი“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „საბჭოთა ხალხის დიდი გამარჯვება“, 15.45 — საბალეტო მუსიკა, 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.15 —მოსწავლეთათვის — რადიოდადგმა „ლილეო მოეშვი“, 18.00—სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში „ჩერნომორეცი“ (ოდესა) „დინამო (თბილისი). შეხვედრის მეორე ნახევრის რეპორტაჟი ოდესიდან, 18.45 — მსუბუქი მუსიკა, 19.50 — „ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაცემულთა ნათელ ხსოვნას“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — ლ. ქიაჩელი „მთის კაცი“. რადიოდადგმა, 21.44 — გამოჩენილ მუსიკოს-შემსრულებელთა კონცერტი, 23.30 — „ეკრანის მელოდიები“, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრები

8 მაისი

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **კურაპას ქორწილი.**



სურათზე: მარცხნივ — კ. მახარაძე (ჯ. ქვარიანის როლში) და თ. არჩვაძე (ს. ხავთასის როლში) სპექტაკლში „როცა ქალაქს სძინავს“.

ა. ბაბოვის ფოტო.

ეროვნული ჯეროვანებას თბილისი

10.30 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ჩიქარეთ, კეთილ საქმეზე!“,
11.00 — VIII კლასელთათვის გეომეტრია,
11.30 — მხატვრული ფილმი „გაქცევა როპოტამში“,
17.00 — მოსწავლეთათვის — ინგლისური ენა,
17.30 — კინონარკვევი — „პაიდე“,
19.15 — ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ტელევიზიის პროგრამა (ფაშისტ დამპყრობთაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 31-ე წლისთავი) (გადმოცემა მოსკოვიდან),
21.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „სპორტული კალეიდოსკოპი“ ფერადი გამოსახულებით, დასასრულ ახალი ამბები.

12 მაისი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.10 — დილის ვარჯიში,
10.30 — ტელესტუდია „ორლეონოკის“ საკონცერტო დარბაზი — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.10 — ჩეხოსლოვაკური სატელევიზიო მხატვრული ფილმი „როგორც პატარები“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.55 — X კლასელთათვის — ზოგადი ბიოლოგია,
17.00 — მოსწავლეთათვის — გერმანული ენა,
17.30 — კინონარკვევი „ხოხლომა“,
18.35 — განცხადებები,
18.40 — ბავშვებისათვის „იყო და არა იყო რა“,
18.50 — ნახატი ფილმი „ზღაბრული კარუსელი“ № 7,
19.00 — „ახალგაზრდობა“ — სატელევიზიო პროგრამა,
19.20 — კინონარკვევი, „მთელი მსოფლიოს ქალიშვილები“,
19.40 — „მსოფლიოს ნამარხი ქალაქი-მუზეუმები“,
20.10 — ფილმი-კონცერტი — „უკრავს ელისო ვირსალაძე“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.30 — „ეროვნული ნაკრები“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — სატელევიზიო სპექტაკლი „ჩვენებურები“ (II ნაწილი) საქართველოს ტელევიზიის დადგმა, 23.35 — ველოსპორტრენტრთა საერთაშორისო შეჯიბრება საქართველოს ტელევიზიის დიდ პრიზზე.

მეორე პროგრამით

18.05 — დოკუმენტური ფილმი — „1945 წლის ზამთარი და გაზაფხული“ (III სერია), **19.05** — კონცერტი, **19.50** — ქართული მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ცბუნია“, **20.10**—ნახატი ფილმი „ფანტიკი“ **18.35** — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. **19.30** — ლენინური პრემიის ლაურეატები ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში (გადმოცემა მოსკოვიდან), **19.40** — „ჩვენი სტუმრები“, **20.00** — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, **20.25** — სატელევიზიო სპექტაკლი „ჩვენებურები“ — I ნაწილი. საქართველოს ტელევიზიის დადგმა, **20.00**—„ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), **20.30** — სატელევიზიო სპექტაკლი „ჩვენებურები“ (II ნაწილი) საქართველოს ტელევიზიის დადგმა, **23.35** — ველოსპორტრენტრთა საერთაშორისო შეჯიბრება საქართველოს ტელევიზიის დიდ პრიზზე.

9 მაისი

პირველი პროგრამით

09.15 —რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — „მუსიკალური რადიოგაზეთი“, 13.10 — კოსტერტი დიდი სამამულო ომის ვეტერანთა თხოვნით, 14.00 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 14.30 — ა. მაყერუბანოვი — კამერული ნაწარმოებები, 14.45 — „იმ დღეებს ძველი უნდა აუგო“ — ქართველი პოეტების ლექსები, 15.00 — „მეგობრობის კონცერტი“ — ამიერკავკასიის მომძმე საბჭოთა რესპუბლიკების რადიომსმენელთათვის, 15.30 — „საბჭოთა ხალხის დიდი გამარჯვება“, 15.45 — საბალეტო მუსიკა, 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.15 —მოსწავლეთათვის — რადიოდადგმა „ლილეო მოეშვი“, 18.00—სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში „ჩერნომორეცი“ (ოდესა) „დინამო (თბილისი). შეხვედრის მეორე ნახევრის რეპორტაჟი ოდესიდან, 18.45 — მსუბუქი მუსიკა, 19.50 — „ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაცემულთა ნათელ ხსოვნას“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — ლ. ქიაჩელი „მთის კაცი“. რადიოდადგმა, 21.44 — გამოჩენილ მუსიკოს-შემსრულებელთა კონცერტი, 23.30 — „ეკრანის მელოდიები“, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

8 მაისი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში, 10.30 — „შეგისწავლოთ ქართული ენა“, 11.10 — „ცეროდენას ეკრანი“, 11.30— „მუზეუმებსა და საგამოფენო დარბაზებში“ ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ომის გრძელი გზა“ (III სერია) (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.05 — დოკუმენტური ფილმი, 13.35 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.05 — მხატვრული ფილმი „ცისარტყელა“, 16.35 — სტუდენტთათვის — უმაღლესი მათემატიკა, 17.35 — ხვალ გამარჯვების დღესასწაულია, 17.45 — მულტფილმები, 18.05 — „ადამიანი, მიწა, სამყარო“ ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.40 — „ჩვენი სტუმრები“, 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.25 — სატელევიზიო სპექტაკლი „ჩვენებურები“ — I ნაწილი. საქართველოს ტელევიზიის დადგმა, 20.00—„ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — სატელევიზიო სპექტაკლი „ჩვენებურები“ (II ნაწილი) საქართველოს ტელევიზიის დადგმა, 23.35 — ველოსპორტრენტრთა საერთაშორისო შეჯიბრება საქართველოს ტელევიზიის დიდ პრიზზე.

მეორე პროგრამით

18.05 — დოკუმენტური ფილმი — „1945 წლის ზამთარი და გაზაფხული“ (III სერია), 19.05 — კონცერტი, 19.50 — ქართული მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ცბუნია“, 20.10—ნახატი ფილმი „ფანტიკი“ 20.30 — მხატვრული ფილმი „ალი“ (I სერია), 21.45 — ვ. ურჯუმელაშვილი „მოსკოვი ქვეყნად ერთია“.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რადიო

9 მაისი

პირველი პროგრამით

09.15 —რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — „მუსიკალური რადიოგაზეთი“, 13.10 — კოსტერტი დიდი სამამულო ომის ვეტერანთა თხოვნით, 14.00 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 14.30 — ა. მაყერუბანოვი — კამერული ნაწარმოებები, 14.45 — „იმ დღეებს ძველი უნდა აუგო“ — ქართველი პოეტების ლექსები, 15.00 — „მეგობრობის კონცერტი“ — ამიერკავკასიის მომძმე საბჭოთა რესპუბლიკების რადიომსმენელთათვის, 15.30 — „საბჭოთა ხალხის დიდი გამარჯვება“, 15.45 — საბალეტო მუსიკა, 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.15 —მოსწავლეთათვის — რადიოდადგმა „ლილეო მოეშვი“, 18.00—სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში „ჩერნომორეცი“ (ოდესა) „დინამო (თბილისი). შეხვედრის მეორე ნახევრის რეპორტაჟი ოდესიდან, 18.45 — მსუბუქი მუსიკა, 19.50 — „ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაცემულთა ნათელ ხსოვნას“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — ლ. ქიაჩელი „მთის კაცი“. რადიოდადგმა, 21.44 — გამოჩენილ მუსიკოს-შემსრულებელთა კონცერტი, 23.30 — „ეკრანის მელოდიები“, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

კომუნისტი 380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-02, 99-03-09, ბ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-29-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 ფ3 08831

ხაკ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14